უნივერსიტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი

№4 (11) 2012

თსუ კვლავ ლიდერია

13 მარტს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თსუ-ის იმ მეცნიერებთან გაიმართა შეხვედრა, რომელთა პროექტებმაც შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ 2011 წელს გამოცხადებულ საგრანტო კონკურსებში მოიპოვეს დაფინანსება. 2011 წლის საგრანტო კონკურსებში თსუ-ის აქტივობის ამსახველი პრეზენტაცია უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტმა წარმოადგინა. შედეგების თანახმად, სამეცნიერო კონკურსებში მოპოვებული გრანტების რაოდენობით, საქართველოს სამეცნიერო ცენტრებსა და უნივერსიტეტებს შორის თსუ ლიდერობს. თსუ-ში ამჟამად 200-ზე მეტი სამეცნიერო პროექტი ხორციელდება, მათ შორის – 148 ეროვნული, 85 – საერთაშორისო; 2011 წელს უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან სამეცნიერო კვლევებზე გათვალისწინებული იყო 14 054 746 ლარი (ბიუჯეტის 29%); მათ შორის, საერთაშორისო და ეროვნული ფონდებიდან მოზიდული 4 154 104 ლარი (ბიუჯეტის 9%); მხოლოდ ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2011 წლის საგრანტო კონკურსების შედეგების მიხედვით 2012 წლისთვის თსუ-ის მეცნიერებს უკვე მოპოვებული აქვთ 21 გრანტი საერთო ღირებულებით 2730698 ლარი, თსუ კი ამ პროექტებიდან გამოყენებითი ტიპის თითოეული პროექტის 15 პროცენტიან თანადაფინანსებას ახორციელებს (თანხით 146047 ლარი); უახლოეს მომავალში საერ-თაშორისო საგრანტო კონკურსების შედე-გებიც გამოქვეყნდება და როგორც თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი გვპირდება, ამ კონკურსებშიც თსუ-ს არანაკლები წარმატება ექნება. ISI Web of Knowledge-ის მონაცემებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში სულ უფრო მეტი კვლევის შესახებ ქვეყნდება მასალა: 2009 წელს 105 სტატია გამოქვეყნდა, 2010 წელს – 145 სტატია, 2011 წელს კი კიდევ უფრო შთამბეჭდავი შედეგი – 541 სტატია; ბუნებრივია, ამ შედეგებში თსუ-ში ინტეგრირებულმა ინსტიტუტებმა დიდი წვლილი შეიტანეს და კიდევ უფრო გაიზარდა თსუ-ის სამეცნიერო პოტენციალი.

თსუ-ის რექტორის ალექსანდრე კვიტაშვილის განცხადებით, „ყველაზე მეტი დაფინანსება თსუ-ის პროექტებმა მიიღო. ეს კი თავისთავად ნიშნავს, რომ უნივერსიტეტს სამეცნიერო კვლევების დიდი პოტენციალი აქვს. ძლიერი ბაზები, ძლიერი სკოლები – ეს ხელს შეუწყობს ჩვენს სტუდენტებს პროფესიონალებად ჩამოყალიბებაში.“

გაგრძელება მე-2 გვ.

თსუ - განათლების საერთაშორისო გამოფენაზე

23-26 თებერვალს საგამოფენო ცენტრ „ექსპო-ჯორჯიაში“ განათლების საერთაშორისო გამოფენა „საქართველოს განათლების კვირეული 2012“ გაიმართა. გამოფენაში საქართველოს ყველა უმაღლესი სასწავლებელი და საზღვარგარეთის უმაღლესი სასწავლებლების ნაწილი იყო წარმოდგენილი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დამთავლიერებლების წინაშე ახალი კონცეფციით წარსდგა – სლოგანი „იარე ჩვენთან ერთად“ აერთიანებს პირველი უნივერსიტეტის წარსულს, აწმყოსა და მომავალს.

გამოფენაზე თსუ-მ შექმნა საგამოფენო სივრცე, სადაც უნივერსიტეტის ისტორია ფოტოგამოფენით, უნიკალური წიგნებისა და უძველესი არქეოლოგიური ნიმუშების ექსპოზიციით იყო წარმოადგენილი.

„საქართველოს განთლების კვირეული 2012“-ზე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 2 ნომინაციაში გაიმარჯვა. „საუკეთესო საგამოფენო სტენდის დიზაინისთვის“ და „ყველაზე ფართო და აქტიური სტუდენტური ჩართულობისთვის გამოფენაში“. ნომინაციებში თსუ-მ სერთიფიკატები მიიღო.

სამეცნიერო ბიბლიოთეკა – უნიკალური წიგნთსაცავი

თსუ-ის სამეცნიერო ბიბლიოთეკის რამდენიმესართულიან წიგნთსაცავში 3,5 მილიონამდე წიგნი, ჟურნალი თუ სხვა პერიოდული გამოცემა ინახება. 2 მილიონზე მეტი აქედან სამეცნიერო, ძირითადად ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო დარგის ლიტერატურაა. რარიტეტებისა და სხვადასხვა ცნობილ პიროვნებათა კოლექციების ფონდი 22 635 ერთეულს შეადგენს. 600 000-ზე მეტი კი სხვადასხვა სახის უცხოური გამოცემებია.

გარდა ამისა, ბიბლიოთეკის არქივშია ასევე სხვადასხვა ქვეყნების სტანდარტები, სამეცნიერო ტექნიკური ნაშრომები, კატალოგები. აქვეა ძალზე სოლიდური მონაცემთა ბაზა ყოფილი საბჭოთა კავშირის, აშშ-ის, ევროპის და სხვა ქვეყნების პატენტების შესახებ - დაახლოებით 20 მილიონი ერთეული დაპატენტებული გამოგონების შესახებ. ძალზე კარგად აღჭურვილ წიგნთსაცავებში, სხვა რარიტეტებთან ერთად, ინახება IX-XI საუკუნეების ე.წ. სინური და იერუსალიმური ქართული ხელნაწერების მიკროფილმები. X საუკუნის ბერეთის ხელნაწერი სახარების მიკროფილმები, “ვეფხისტყაოსნის” ყველა ქართული გამოცემა და მისი თარგმანები, მათ შორის იაპონურ ენაზე და სხვა.

საქართველოში ყველაზე დიდი, სამოცდაათწლიანი ისტორიის მქონე ბიბლიოთეკა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს 2011 წელს შემოუერთდა. მის შემადგენლობაშია ასევე გ.მიქელაძის სახელობის ტექნიკური სამეცნიერო ბიბლიოთეკა, ი. გრიშაშვილის სახელობის ბიბლიოთეკა-მუზეუმი, სადაც პოეტის პირადი ფონდია დაცული.

თავისი პროფილიდან გამომდინარე, ღღემდე ბიბლიოთეკის მკითხველთა დიდ ნაწილს მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომლები შეადგენდნენ. ახლა ბიბლიოთეკა აქცენტს უფრო სტუდენტების მიზიდვაზე აკეთებს. როგორც ბიბლიოთეკის დირექტორი ირაკლი ღარიბაშვილი ამბობს, გარდა იმ ლიტერატურისა და მასალებისა, რომელიც სტუდენტებისათვის საჭირო და გამოსადეგია, ბიბ-

გაგრძელება მე-2 გვ.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტი

გვ. 2

სწავლების ალტერნატიული გზები თსუ-ში

გვ. 3

თსუ-ის სასწავლო მასალები – Lit.ge-ზე

გვ. 3

სიახლე თსუ ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიაში

გვ. 4

სასერტიფიკატო და ტრენინგ-კურსები თსუ-ში

გვ. 4

მშვილდოსანთა წარმატება

გვ. 4

თსუ კვლავ ლიდერია

პირველი გვერდიდან

როგორც რუსთაველის ეროვნული ფონდის დირექტორმა სულხან სისაურმა აღნიშნა, „რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებული მსხვილბიუჯეტიანი პროექტები თსუ-ის ბაზაზე განხორციელდება. პროექტების დაფინანსების გაცემა თვის ბოლოდან დაიწყება. სამეცნიერო კვლევებში ჩაერთვებიან როგორც საქართველოში, ასევე, საზღვარგარეთ მოღვაწე მეცნიერები.“

გრანტები გაიცა ყველა მიმართულების კვლევებზე. ყველაზე მეტი დაფინანსება კი ფუნდამენტალური და გამოყენებითი კვლევებისთვის განკუთვნილმა პროექტებმა მიიღო, რომლებიც თსუ-ის თანადაფინანსებით განხორციელდება.

გაზეთი „უნივერსიტეტი“ ორი, განსხვავებული მიმართულების კვლევის ავტორს გაესაუბრა:

გამარჯვებულებს შორისაა თსუ-ის რ. აგლაძის არაორგანული ქიმიის და ელექტრული ქიმიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელის პაატა ნიკოლეიშვილის პროექტი “ახალი ტიპის სათბობი ელემენტების დამუშავება”. პროექტის ავტორის განცხადებით: “დღესდღეობით კაცობრიობის ძირითად პრობლემას წარმოადგენს ეკოლოგიური და ენერგეტიკული საკითხები. ენერგეტიკულ საკითხებს რაც შეეხება, ჩვენ ამ მხრივ ვამუშავებთ სათბობის ელემენტებს. სათბობის ელემენტები, იგივე საწვავის ელემენტები დღეს ძალიან აქტუალური საკითხია. აქტუალური დანადგარებია, მაგალითად ელექტრომობილები, რომლებშიც ამძრავებად ძირითადად გამოიყენება სათბობის ელემენტები. ჩვენი სათბობის ელემენტები იმით განსხვავდება სხვა საზღვარგარეთის ანალოგებისგან, რომ მათ ელექტროენერგიის გამომუშავებასთან ერთად შეუძლიათ, მაგალითად სასმელი წყლის დეზინფექცია, გაუსნებოვნება, ბიოლოგიურად მდგრადი დამბინძურებლებისგან გაწმენდა. ამას ჩვენ ვახერხებთ სპეციფიური ელექტროდების გამოყენებით, რომლებიც საშუალებას იძლევა ვაგენერიროთ ელექტრო ენერგიასთან ერთად მწვანე რეაგენტი, ეს არის წყალბადის პეროქსიდი, რომლის დაშლის შედეგადაც მიიღება მხოლოდ წყალი და ჟანგბადი. იგი არის ძლიერი დამჟანგველი, ამიტომ ყველანაირი ბაქტერიებისა თუ დამბინძურებელი ორგანული ნივთიერებებისგან აკეთებს წყლის სრულ მინერალიზაციას”.

ფონდიდან დაფინანსდა ასევე პროექტი “ლათინური იურიდიული ტერმინოლოგია” (პროექტის ავტორი: ლევან ალექსიძე; პროექტის მენეჯერი: მაია დანელია). პროექტის მენეჯერი ამბობს, რომ: „დღეისთვის, სამწუხაროდ, ვრცელი ნაშრომი ამ დარგში არ არსებობს. ამიტომ ეს პროექტი მიზნად ისახავს ვრცელი ენციკლოპედიური სახის ნაშრომის შექმნას, სადაც წარმოდგენილი იქნება ლათინური იურიდიული ტერმინოლოგია, რომელიც დაახლოებით მოიცავს 5000-მდე ლემას. გარდა ამ იურიდიული ტერმინებისა, პროექტში აგრეთვე შესული იქნება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ლათინური სიტყვები, რომელიც ასევე 5000-მდე ლემას მოიცავს, რაც ასევე გაამდიდრებს ნაშრომს. ლექსიკონში აგრეთვე წარმოდგენილი იქნება ლათინური იურიდიული ფორმულები და გამოთქმები, რომელიც ასევე დაახლოებით 5000-მდე იქნება თავისი მოცულობით. ასე რომ, ასეთი ეკლექტიკური და მრავლისმომცველი ნაშრომი ნამდვილად სიახლეს წარმოადგენს ჩვენს მეცნიერებაში. იგი წაადგება არამხოლოდ ამ დარგის სპეციალისტებს, არამედ ამ საკითხებით დაინტერესებულ ფართო საზოგადოებას”.

თსუ-დან წარდგენილი პროექტების დინამიკა წლების მიხედვით



ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2011 წლის კონკურსი

- *სსიპ ივ. ჯავახიშვილი სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
- *საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*
- *სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმი*
- *სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა ცენტრი*
- *სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი*
- *სსიპ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*
- *გაეროს საზოგადოებრივი ინფორმაციის დეპარტამენტთან ასოცირებული ეკოლოგიისა და სიცოცხლისუნარიანობის უსაფრთხოების მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის საქართველოს განყოფილება*
- *თბილწყალგეო*
- *იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
- *კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის და სეისმომედეგობის ცენტრი*
- *ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო*
- *რ/კ სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტი*

სამეცნიერო ბიბლიოთეკა – უნიკალური წიგნთსაცავი

პირველი გვერდიდან

ლიოთეკა მათთვის კიდევ ბევრი რამით შეიძლება იყოს საინტერესო. საამისოდ ბიბლიოთეკის თანამშრომლებს უკვე დაგეგმილი აქვთ სხვადასხვა სახის აქტივობები, რომელთა ორგანიზებას უახლოეს მომავალში აპირებენ.

ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზები აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით, ქსეროქსით, მიკროფირების საკითხავი აპარატურით. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში უსინათლო და მხედველობადაქვეითებულთათვის განკუთვნილი ცენტრია. საქართველოს პარლამენტისა და ქუთაისის უნივერსალური ბიბლიოთეკების შემდეგ სამეცნიერო ბიბლიოთეკა მესამეა, სადაც ამ სახის ცენტრი დაფუძნდა. ცენტრი ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკისა და ასოციაცია “უსინათლოები საზღვრებს გარეშე” ერთობლივი ძალისხმევით შეიქმნა. იგი აღჭურვილია თანამედროვე აპარატურით. უსინათლოებისთვის ადაპტირებული სპეციალური პროგრამის (“ბუ”) საშუალებით ცენტრის სტუმრებს შეუძლიათ მოუსმინონ სხვადასხვა სახის წიგნებსა და ლიტერატურას ქრთულ, ინგლისურ, რუსულ და სხვა ენებზე. სხვა პროგრამის, “ზუმტექსტის” მეშვეობით მხედველობადაქვეითებულთ ტექსტის მათთვის სასურველ ზომამდე გაზრდა შეუძლიათ. ყველაფერ ამის შესწავლა და მოხმარება მხედველობის პრობლემის მქონეთ ადგილზე შეუძლიათ. შესაბამის ტრენინგებს უფასოდ მათ, სხვა თანამშრომლებთან ერთად, ბიბლიოთეკის მხედველობადაქვეითებული მუშაკი ჩაუტარებს, რომელიც აქ უკვე კარგა ხანია მუშაობს.

ბიბლიოთეკართა გადასამზადებლად და კვალიფიკაციის ასამაღლებლად საბიბლიოთეკო ასოციაციასთან ერთობლივად სისტემატურად ტარდება ტრენინგები.

ბიბლიოთეკაში არსებული ფონდი კვლავაც იზრდება. ამაში მონაწილეობას სხვადასხვა ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლობებიც იღებენ. აშშ-ის საელჩო ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული დონორი აღმოჩნდა. ბიბლიოთეკა სხვა ქვეყნების საელჩოებთანაც გეგმავს ურთიერთობის გააქტიურებას. გარდა ამისა, საერთაშორისო კონსორციუმის წევრობა მას საშუალებას აძლევს სხვადასხვა გამომცემლობიდან ლიტერატურა შეღავათიან ფასად გამოიწეროს.

ბიბლიოთეკა ღიაა მთელი კვირის განმავლობაში. ორშაბათიდან პარასკევამდე 10:00 -18:00 საათებში. შაბათ-კვირას 11.00-დან -15.00 საათამდე.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს 15 მარტს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი გიდო ვესტერველე ეწვია. გერმანიის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა სტუდენტებისთვის წაიკითხა მოხსენება სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ევროპასთან ურთიერთობის შესახებ და მათ შეკითხვებს უპასუხა. შეხვედრას საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის 600-მდე სტუდენტი ესწრებოდა.

“თქვენ ხართ გლობალიზაციის თაობა. უსმენთ იგივე მუსიკას რასაც უსმენენ გერმანიაში, პოლონეთში, საფრანგეთში; უყურებთ იგივე ფილმებს, რასაც თქვენი თაობის წარმომადგენლები ევროპაში. ინტერნეტის და სოციალური ქსელების საშუალებით შესაძლებლობა გაქვთ მოიპოვოთ მეტი ინფორმაცია მსოფლიოზე, რაზეც თქვენი მშობლები ვერც იოცნებებდნენ. მინდა გაგამხნევოთ – გამოიყენეთ თქვენი თაობის შესაძლებლობები მაქსიმალურად. თქვენ ხართ განათლებული თაობა – ამ ქვეყნის მომავალი ლიდერები. თქვენ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა გეკისრებათ თქვენი ქვეყანის წინაშე“, – მიმართა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ქართველ სტუდენტებს. მისი თქმით, გერმანიაში დღეისთვის 2500 ქართველი სტუდენტი სწავლობს და იმედოვნებს, რომ მათი რიცხვი შემდგომში გაიზრდება.

სტუდენტებთან შეხვედრაზე გიდო ვესტერველემ ორ ქვეყანას შორის არსებულ მეგობრულ ურთიერთობებზე გაამახვილა ყურადღება და ხაზი გაუსვა, რომ სწორედ გერმანია იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა.

საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ გერმანია მხარს უჭერს საქართველოს სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას. “ჩვენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას არა მხოლოდ მხარს ვუჭერთ, არამედ ვმუშაობთ კიდეც ამ საკითხზე“, – აღნიშნა გიდო ვესტერველემ. მისი თქმით ძალაში რჩება ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილება, რომლის თანახმად საქართველო გახდება ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი. “ნატო და ევროგაერთიანება საერთო ფუნდამენტურ ღირებულებაზეა დაფუძნებული. დემოკრატიული და ინსტიტუციური რეფორმა არის საჭირო საქართველოს ნატო-სთან დასაახლოებლად“, – განაცხადა მინისტრმა.

მოხსენებით გამოსვლისას გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა გაიხსენა 2008 წლის კონფლიქტიც და აღნიშნა, რომ მისი შედეგები ძალიან მძიმეა. გიდო ვესტერველემ ყურადღება აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივაზეც გაამახვილა. როგორც მან აღნიშნა, ევროგაერთიანება რამდენიმე დღეში დაიწყებს მოლაპარაკებებს საქართველოსთან თავისუფალი ვაჭრობის თემაზე. სტუდენტებთან შეხვედრაზე ხაზი გაესვა ევროპასთან თავისუფალი სავიზო რეჟიმის შექმნის მნიშვნელობას. მინისტრი იმედოვნებს, რომ ეს საკითხი უახლოეს მომავალში გადაწყდება.

“ეს იყო ძალიან საინტერესო შეხვედრა. მინისტრის მოხსენება ეხებოდა რეგიონის უსაფრთხოებას და განვითარებას და კითხვებიც იყო შესაბამისი. სტუდენტების კითხვები ძირითადად შეეხებოდა ევროპის სტრუქტურებში საქართველოს გაწევრიანებას და მინისტრმა ამ კითხვებზე დიპლომატიური პასუხი გასცა. მართალია სტუდენტები კონკრეტულ პასუხებს მოითხოვდნენ, მაგრამ მინისტრმა კონკრეტიკისგან თავი შეიკავა”, – განაცხადა შეხვედრის შემდეგ თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა.

რექტორმა იმედი გამოთქვა, რომ ასეთი მაღალი რანგის სტუმრები სახელმწიფო უნივერსიტეტს მომავალშიც არაერთხელ ეწვევიან.

პროგრამა ეთნიკური უმცირესობებისთვის გრძელდება

საქართველოს პრეზიდენტის მიერ ინიცირებული პროგრამა, რომელიც ეთნიკური უმცირესობებისთვის უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობის გაზრდას გულისხმობს, გრძელდება. 2012 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე საქართველოს მოქალაქე აზერბაიჯანელი და სომეხი აბიტურიენტები უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვისას სპეციალური კვოტებით ისარგებლებენ – ისინი მხოლოდ ზოგადი უნარების გამოცდას მშობლიურ ენაზე (აზერბაიჯანულად და სომხურად) ჩააბარებენ და მოსამზადებელ ფაკულტეტებზე ჩაირიცხებიან. ერთი წლის განმავლობაში ეს სტუდენტები ინტენსიურად ქართულ ენას შეისწავლიან და შემდეგ წელს სასურველ ფაკულტეტზე, უკვე უმაღლესი განათლების მისაღებად გააგრძელებენ სწავლას. 14 მარტს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მეთორმეტეკლასელ აზერბაიჯანელ და სომეხ მოსწავლეებს შეხვდა და პირადად გააცნო პროგრამასთან დაკავშირებული დეტალები, მინისტრმა აბიტურიენტთა შეკითხვებსაც უპასუხა. ახალი პროგრამით ყოველწლიურად უფრო მეტი არაქართულენოვანი აბიტურიენტი სარგებლობს, 2010 წელს კი, მათი რიცხვი მხოლოდ სამი იყო. პროგრამა სრულფასოვნად გასულ წელს ამოქმედდა და მის ფარგლებში 300-მდე აბიტურიენტმა მხოლოდ უნარები ჩააბარა, ქართული ენა შეისწავლა და 2011-2012 სასწავლო წლიდან უკვე აკადემიურ პროგრამებზე სასურველ ფაკულტეტზე გააგრძელა სწავლა. ისინი დაფინანსებას ზოგად უნარებში აღებული ქულების მიხედვით იღებენ. პროექტის ფარგლებში სამინისტროს წარმომადგენლები მთელი წლის განმავლობაში ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რაონებში მოსახლეობასთან სისტემატიურ შეხვედრებს აწარმოებდნენ.

სახელმწიფო ენის ცოდნა და ამ ენაზე უმაღლესი განათლების მიღება ბევრად უმარტივებს არაქართულენოვან მოსახლეობას საკუთარ ქვეყანაში საქართველოში წარმატებული კარიერის შექმნას.

სწავლების ალტერნატიული გზები თსუ-ში

ერთ-ერთი სტუდენტი, რომლითაც თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ამაყობენ, მეორე კურსელი ავთანდილ ნადარეიშვილია. ავთო ფოთიდანაა. უნივერსიტეტში ასპროცენტიანი გრანტით ჩაირიცხა და ინგლისურ ფილოლოგიას სწავლობს. უფრო სწორად კი ცოდნას იღრმავებს, რადგან ენა საკამოდ კარგად ჯერ კიდევ უმაღლესში მოხვედრამდე შეისწავლა. ინგლისურის გარდა კიდევ რუსული, იტალიური, ესპანური და ფრანგული ენები იცის. ახლა დამატებით თურქულსაც სწავლობს. იმის გამო, რომ ავთოს გადაადგილების მხრივ გარკვეული პრობლემები აქვს, უნივერსიტეტში მისთვის სწავლების განსაკუთრებულ რეჟიმზე შეთანხმდენ.

თბილისში ავთოს მხოლოდ 6-7 კვირაში ერთხელ, სემესტრის ბოლოს გამოცდების ჩასაბარებლად, უწევს ჩამოსვლა. სემინარებს ლექტორებს ელექტრონულად, "სკაიპით" აბარებს. ელექტრონულადვე იღებს მათგან და თავისი რამდენიმე კურსელისგან სასწავლო მასალებს. სწავლების პირველ კვირას, როდესაც უნივერსიტეტში ახალი ჩარიცხული იყო, ჯგუფში ყველაზე აქტიური ბავშვები გამოარჩია და კონტაქტიც მათთან დაამყარა. ეს კონტაქტი როგორც თავად ამბობს, მერე უკვე მეგობრობაში გადაიზარდა.

"უნივერსიტეტში ინგლისურ და იტალიურ ენებში ვიღრმავებ ცოდნას. ძალზე კმაყოფილი ვარ როგორც ჩემი ლექტორებით, ისე სწავლების იმ რეჟიმით, რაც ჩემთან მიმართებაში არსებობს. იგი ჩემთვის უფრო მოსახერხებელია, რადგან ლექციაზე დასწრების გამო ქულა არ მაკლდება და, ამგვარად, მე უკვე პრეზიდენტის სტიპენდიის მიღების დიდი შანსი მაქვს". – ასეთი გეგმები აქვს უახლოეს ხანში ავთანდილს, რომლის განხორციელებაც ფაკულტეტზე ძალზე რეალურად მიაჩინიათ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დღეისათვის სულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე შვიდი სტუდენტი ირიცხება. ყველაზე მეტი, ხუთი სტუდენტი ჰუმანიტარულ ფაკულტეტზეა, ერთი ეკონომიკის ფაკულტეტზე დოქტურანტურაში სწავლობს, ერთიც - იურიდიულზე. თითოეული მათგანი ცდილობს სასწავლო პროცესების გარდა, საზოგადოებრივ აქტივობებშიც შესაძლებლობისამებრ იყოს ჩართული. უნივერსიტეტში კი საზოგადოებაში მათი ინტეგრაციისათვის ზრუნავენ.

19 მარტს USAID – ისა და მისი პარტნიორი ორგანიზაციის IFES-ის ინიციატივით თსუ-ში დანერგილი საუნივერსიტეტო კურსის "დემოკრატია და მოქალაქეობა" ფარგლებში სტუდენტური პროექტების პრეზენტაცია გაიმართა. ერთ-ერთი პროექტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზეც იყო, რომლის ავტორებს უნივერსიტეტის რექტორმა პროექტი და იდეა მოუწონა. სტუდენტებმა ერთ-ერთ ვარიანტად ალექსანდრე კვიტაშვილს, თსუ-ის სხვადასხვა კორპუსებთან მცირე, მობილური პანდუსების დამონტაჟება შესთავაზეს. თსუ-ის რექტორის აზრით, "ამ საკითხზე უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ აუცილებლად უნდა იმსჯელოს, რადგან ამ საშუალებით, შესაძლოა, ბევრი პრობლემა ძალზე ადვილად გადაიჭრას".

დღეისათვის თსუ-ში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტების თავისუფალი გადაადგილებისათვის პანდუსები უკვე დამონტაჟებულია თსუ-ის პირველ, მეორე და ქ. წამებულის №55-ში განლაგებულ სასწავლო კორპუსებში. სტუდენტებს შეუძლიათ ასევე ისარგებლონ ლიფტებით, უნივერსიტეტის პირველ და მაღლივ კორპუსებში.

ბუნებრივია, საინტერესოა ასევე უნივერსიტეტში არსებული ელექტრონული სწავლება, რაც სალექციო და აუდიტორული მეცადინეობების პარალელურად ვირტუალური სასწავლო გარემოს შექმნასა და გამოყენებას გულისხმობს.

თსუ-ში ელექტრონული სწავლების კოორდინატორის მაკა ერაძის განმარტებით, "ამაში მოიაზრება სასწავლო-სალექციო მასალა, სალექციო ჩანაწერები, ტესტები, მულტიმედია, ფორუმები და ა.შ. ელექ-ტრონული სწავლების მეთოდოლოგია თსუ-ში არსებულ 200-მდე კურსისთვის გამოიყენება. შეზღუდული შესაძლებლობების პირებს შეუძლიათ ისარგებლონ ამ მასალებითა და ვირტუალური სასწავლო გარემოთი ინკლუზიური მიდგომით და საერთო მოხმარებისთვის შეიქმნილ სალექციო მასალებსა და აქტივობებზე წვდომა სახლიდან გაუსვლელად ჰქონდეთ. მხედველობის შეზღუდვის შემთხვევაში სპეციალური კომპიუტერული პროგრამების საშუალებით (რაც ოპერაციულ სისტემებსაც მოჰყვება ხოლმე) წაიკითხონ მასალები, პასუხი გასცენ ტესტებს და ა.შ." მაკა ერაძე დარწმუნებულია, რომ "ელექტრონული სასწავლო მასალები და ვირტუალური სასწავლო გარემო, ზრდის მოტივაციას, ხელს უწყობს ინფორმაციასთან წვდომას და სწავლების უკეთეს დაგეგმვას, რაც, შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის სასწავლო პროცესის უკეთ დაგეგმვის და წვდომის საშუალებას იძლევა".

სასურველი ინფორმაციის მიღების ერთ-ერთი საშუალება სტუდენტებისთვის Facebook-ზე გახსნილი თსუ-ის გვერდიც არის. მასზე ვებ-გვერდის ადმინისტრატორი თავის შესაძლებლობის ფარგლებში ოპერატიულად იძლევა პასუხს თსუ-სთან დაკავშირებულ კითხვებზე. მსურველს ამ გვერდის პოვნა თსუ-ის ვებ-გვერდზე: tsu.edu.ge შეუძლია, თსუ-ის youtube-ის არხთან ერთად, რომელზეც სისტემატურად იტვირთება ცნობილ მეცნიერთა საჯარო ლექციები.

ერთ-ერთი წყარო, სადაც მხედველობის პრობლემის მქონე სტუდენტებს გარკვეული ლიტერატურის მოძიება შეუძლიათ, უნივერსიტეტთან ახლადშემოერთებული სამეცნიერო ბიბლიოთეკაა. აქ არსებულ ცენტრში როგორც ქართული, ისე სხვა ენებზე სხდასხვა სახის ლიტერატურის ჩანაწერების მოსმენაა შესაძლებელი. მხედველობადაქვეითებულებს კი სპეციალური პროგრამით ტექსტის სასურველ ზომამდე გაზრდა შეუძლიათ.

"ტოტალიტარიზმის" შესწავლის საკითხები, თსუ-დან კემბრიჯამდე

„ცნობილი საბჭოთა ფორმულა: „პარტია ჩვენი ეპოქის გონება, ღირსება და სინდისია" იმაზე მეტს გვეუბნება, ვიდრე თვითონ უნდა გვითხრას – პიროვნებას წაერთმევა ის, რაც უმთავრესი და უსაკუთრესი აქვს, მისი სული გასხვისდება, გიგანტურ ბომონს მიეკუთვნება... ხელოვანიც გასხვისებული, გაუცხოებული სულით უნდა ქმნიდეს. ტოტალიტარიზმს ემსხვერპლება არამარტო ნიჭიერი მწერლების სიცოცხლე, არამედ მათ მიერ დაუწერელი წიგნები, თვით ცოცხლად გადარჩენილ მწერალთა ჩაკლული ნიჭი, დამახინჯებული ადამიანური და შემოქმედებითი ბიოგრაფიები, შეუქმნელი ნაწარმოებები."

ეს პატარა ამონარიდია თსუ-ის ინსტიტუტის მიერ ტოტალიტარიზმის თემაზე მომზადებული წიგნიდან, რომელიც 2012 წელს დიდ ბრიტანეთში გამოიცა. "Cambridge Scholars Publishing"-ის მიერ გამოცემული წიგნი „ტოტალიტარიზმი და ლიტერატურული დისკურსი. მე-20 საუკუნის გამოცდილება" შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში მომზადდა. იგი მსგავსი პროფილის პირველი სამეცნიერო წიგნია, რომელიც საქართველოში, ქართულ კვლევით ცენტრში მომზადდა და საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. წიგნს საფუძვლად 2009 წელს, ლიტერატურის ინსტიტუტში შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით ჩატარებული საერთაშორისო კონფერენციის მასალები დაედო. კონფერენციაში მონაწილეობა მთელი მსოფლიოს მასშტაბით დარგის აღიარებულმა სპეციალისტებმა მიიღეს.

ორმოცდაათზე მეტ უცხოელ მონაწილეს შორის, გახლდნენ მეცნიერები ყოფილი საბჭოთა და სოციალისტური ბანაკის ქვეყნებიდან. მათ შორის ისეთი ცნობილი მეცნიერები, როგორიც არიან: იორდან ლუკანოვი (ბულგარეთი), მარიჯან დოვიკი (სლოვენია), ბენედიკტას კალნაჩსი (ლატვია), დოდონა კიზირია (აშშ) და სხვები. დოდონა კიზირიას პუბლიკაცია "ტირანი, როგორც მესია, გიორგი ლეონიძის პოემა „სტალინის ბავშვობა და ყრმობა". მხოლოდ ერთ-ერთია, იმ მასალებს შორის რომლებიც სათაურიდანვე იქცევს ყურადღებას.

„წიგნის მთავარი თემაა ტოტალიტარიზმი და მისი გავლენა საზოგადოებრივი ცნობიერების ძალზე მნიშვნელოვან სფეროზე, ლიტერატურაზე. წიგნში დასმული და გამოკვლეულია ისეთი პრობლემები როგორიცაა: პოლიტიკური დიქტატურა და შემოქმედებითი თავისუფლება; ტოტალიტარული ეპოქის მითები და სტერეოტიპები; ტოტალიტარიზმი და აზროვნების ალტერნატიული მოდელები; ლიტერატურა, კრიტიკა და პოლიტიკური ტერორი; მთავარი და მარგინალური ქანრები ტოტალიტარიზმის ეპოქის ლიტერატურაში და სხვა. ამ კრებულში მეცნიერები, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან, ცდილობენ პასუხი გასცენ ურთულეს კითხვებს და წარმოაჩინონ ტოტალიტარული რეჟიმების, განსაკუთრებით საბჭოთა ტოტალიტარიზმის უარყოფითი კვალი ლიტერატურულ აზროვნებასა და პროცესზე. კვლევის სფეროშია სხვადასხვა ნაციონალური ლიტერატურები, მათ შორის, ქართული, თავისი მტკივნეული გამოცდილებით" – აცხადებს შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ირმა რატიანი, რომლის რედაქტორობითაც გამოვიდა წიგნი.

სპეციალისტთა შეფასებით მსგავსი შინაარსის წიგნის დასტამბვა ესოდენ პრესტიჟულ უცხოურ გამომცემლობაში არის ძალზე სერიოზული ნაბიჯი, გადადგმული ხანგრძლივი ისტორიული და კულტურული იზოლაციის დასაძლევად. ამასთან მნიშვნელოვანი წინსვლაც თანამედროვე ქართული მეცნიერების ინტერნაციონალიზაციისაკენ, რაც ქართული ფილოლოგიური სკოლის მიღწევების საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ექსპორტს შეუწყობს ხელს.

თსუ-ის სასწავლო მასალები – Lit.ge-ზე

თსუ-ის გამომცემლობის მიერ მომზადებული სახელმძღვანელოები მალე, შესაძლოა ელექტრონული წიგნების მაღაზია Lit.ge-ის კატალოგში ცალკე სექციაში გამოჩნდეს. ელექტრონული წიგნების მაღაზიამ Lit.ge ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს სპეციალური შეთავაზება წარუდგინა. შემოთავაზება გულისხმობს სასწავლო მასალებისა და უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ მომზადებული სახელმძღვანელოების და წიგნების არასანქცირებული გავრცელებისაგან დაცული ელექტრონული ვერსიების შექმნას და მათ განთავსებას lit.ge-ზე.

"Lit.ge-ზე მიღებული პრაქტიკიდან გამომდინარე, ელექტრონული წიგნი ნაბეჭდ წიგნთან შედარებით ორჯერ უფრო იაფი ღირს. გარდა ამისა, Lit.ge-ს და თსუ-ის თანამშრომლობის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება ელექტრონული წიგნების მაღაზიაში უნივერსიტეტის წიგნებისათვის ცალკე სექციის შექმნა, სადაც ელექტრონული წიგნის შეძენას ნებისმიერი მსურველი შეძლებს, ხოლო თსუ-ის სტუდენტები ისარგებლებენ მნიშვნელოვანი შეღავათებით ან სულაც უფასოდ მიიღებენ მასალას. მათ ზედმეტი დანახარჯების გარეშე გაეზრდებათ წვდომა სასწავლო მასალებზე და მიიღებენ მაღალი ხარისხით აწყობილ და დაკაბადონებულ ელექტრონულ წიგნებს ყველაზე თანამედროვე და კომფორტულ საკითხავ მოწყობილობასთან ერთად." – განაცხადეს Lit.ge-ს წარმომადგენლებმა.

Lit.ge და ელექტრონული წიგნების წამკითხველი მოწყობილობა იოტა რიდერი ქართველ მკითხველს სთავაზობს ელექტრონული წიგნებისა და სერვერების ფართო არჩევანს. Lit.ge-ს დამფუძნებლები გეგმავენ ზოგადი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის სერვერების ფართო სპექტრის შეთავაზებას. "მრავალი მიზეზის გამო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობას ყველაზე დიდი პრიორიტეტი მიენიჭა". – განაცხადა lit.ge-ს დამფუძნებლმა და პროექტის კოორდინატორმა პაატა სირბილაძემ.

პროექტის განხორციელების შემდეგ უნივერსიტეტი მიიღებს კარგად ორგანიზებულ, უსაფრთხო სერვერებზე დაცულ ელექტრონულ ბიბლიოთეკას, თსუ-ის სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისთვის შეიქმნება დახურული სექცია, სადაც წიგნები და სასწავლო მასალები მათთვის ხელმისაწვდომი იქნება სპეციალური პირობებით. გარდა ამისა, პროფესორ-მასწავლებლებს გაუჩნდებათ თავიანთი ნაშრომების გავრცელებისა და რეალიზაციის დამატებითი, ეფექტიანი საშუალება.

მსოფლიოს ქვეყნების აუდიტორიები თსუ-ში – იაპონია

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იაპონისტიკის მიმართულება 2008 წელს ჩამოყალიბდა დამატებითი "შორეული აღმოსავლეთის რეგიონისმცოდნეობის" პროგრამის ფარგლებში, რომელიც ორ მოდულს, იაპონისტიკას და სინოლოგიას აერთიანებს. იაპონისტიკამ სტუდენტებში თავიდანვე დიდი ინტერესი გამოიწვია, რომელიც დროთა განმავლობაში კიდევ უფრო გაიზარდა. დღეისათვის იაპონურის მიმართულების სხვადასხვა დონეზე საერთო ჯამში უნივერსიტეტის ორმოცდაათამდე სტუდენტი სწავლობს.

თუმცა, თსუ-ის "იაპონური ენისა და კულტურის ცენტრი" მხოლოდ იაპონურის სწავლებით არ იფარგლება. ენის გარდა ტარდება ლექციები იაპონიისა ისტორიის, ეკონომიკის, რელიგიების და კულტურის შესახებ, რომლებსაც სტუდენტებს ცენტრის ხელმძღვანელი პროფესორი ნანა გელაშვილი უკითხავს. ამავე დამატებითი პროგრამის ფარგლებში ისწავლება თსუ-ში ჩინური ენა, ჩინეთის ისტორიის, ეკონომიკის, რელიგიისა და კულტურის საკითხები.

ცნობისათვის, მიმართულების სამი სტუდენტი საქართველოში იაპონიის საელჩოში წარმატებული ტესტირების შემდეგ დღეს იაპონიის სხვადასხვა პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს. ცენტრის ხელმძღვანელი ნანა გელაშვილი დარწმუნებულია, რომ მისი ყოფილი სტუდენტები თსუ-ის იაპონურ ცენტრში მნიშვნელოვან ძალად დაბრუნდებიან.

თსუ-ში არსებული იაპონურის მიმართულება სერიოზული ყურადღების ქვეშ საქართველოში იაპონიის საელჩოს გახსნის შემდეგ აღმოჩნდა. ცენტრი იაპონიის კულტურული გრანტის ფარგლებში გამოყოფილი დახმარებით აღიჭურვა. იაპონიის საელჩოს აქტიური მონაწილეობით ეწყობა ასევე საკმაოდ ხშირად ამ ქვეყნის თემატიკასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის ღონისძიებები. ერთ-ერთი ასეთი ღონისძიება ბოლოს შეფუთვის ხელოვნების, "ფუროშიკის" ლექციები იყო.

დღეისათვის იაპონისტიკა წარმატებით ისწავლება დამატებითი საბაკალავრო პროგრამის სახით, რომლის საშუალებითაც სტუდენტებს საშუალება აქვთ საბაზისო ცოდნა შეიძინონ იაპონიის შესახებ.

სიახლე თსუ ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიაში

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიას ახალი ექსპონატი შეემატა. 13 მარტს ალგეთის წყალსაცავთან, კოდის გზაზე გათხრილ ქვაყუთში (აკლდამა) თავის ქალასთან ერთად ჩონჩხიც აღმოაჩინეს, თუმცა, ჩონჩხის ტრანსპორტირება ჯერ ვერ მოხერხდა. არქეოლოგთა დათარიღებით, თავის ქალა დაახლოებით მე-5 საუკუნეში მცხოვრებ ადამიანს ეკუთვნის, რომელიც კომპლექსურ (არქეოლოგიურ, ანთროპოლოგიურ და პალინოლოგიურ) შესწავლას საჭიროებს.

ლაბორატორიის ხელმძღვანელის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ლია ბითაძის განცხადებით, თავის ქალა, ნაკერების შეზრდის მიხედვით 40 წლამდე ასაკის მამაკაცს ეკუთვნის. თავის ქალა ბრაქიკრანული (მოკლე და განიერი) ფორმისაა. ამ ტიპის თავის ქალები დამახასიათებელია ადრეული შუა საუკუნეების ადამიანებისთვის, რომლებიც ამ არეალში ცხოვრობდნენ. ამ თავის ქალაზე რამდენიმე ეპიგენეტიკური ანომალია – შუბლზე მეტოპიური ნაკერი და ჩართული ძვლები კეფის არეში; ფიზიოლოგიური სტრესის მარკერი – მრავლობითი ფოროვანი დაცხრილვა თვალბუდეებში, რაც სუსტად გამოხატული ანემიის ან ჭიების არსებობის ნიშანია. ბითაძის ინფორმაციით, ჩონჩხის შესწავლა დამატებით რამდენიმე ინფორმაციას მოგვცემს, რაც იმდროინდელი ყოფა-ცხოვრების შესახებ მეტ საჭირო ინფორმაციას მოგვაწვდის.

ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორია გასული საუკუნის ორმოციანი წლებიდან ფუნქციონირებს. აქ წარმოდგენილია უმდიდრესი კრანიოლოგიური კოლექცია (3 ათასამდე თავის ქალა) ენეოლითის ხანიდან (ძვ.წ. მე-5-4 ათასწლეული) თანამედროვე პერიოდამდე, დაცულია კავკასიის თანამედროვე მოსახლეობის სომატოლოგიური (სახის აღწერილობითი და გაზომვითი ნიშნები), დერმატოგლიფიკური (ხელების ანაბეჭდები), ოდონტოლოგიური (კბილების ანაბეჭდები) და სეროლოგიური (სისხლის ჯგუფები) კვლევის პირველადი მასალები. ასევე დაცულია სომატოლოგიურად შესწავლილი ინდივიდების ფოტომასალები. ლაბორატორიის უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ ის ერთადერთია და უძველესია კავკასიაში და აქ განთავსებულია უმდიდრესი კოლექციები.

ლია ბითაძე თსუ 2008-2009 სასწავლო წლიდან ბაკალავრიატის სტუდენტებს – კავკასიოლოგებს უკითხავს კავკასიის ხალხთა ფიზიკურ ანთროპოლოგიას. ასეთი საგანი კავკასიაში არსად იკითხება; არ არსებობს სახელმძღვანელო; მიმდინარეობს მუშაობა ორ სახელმძღვანელოზე. ქართულ ენაზე – ზოგადი ანთროპოლოგია და რუსულ ენაზე – კავკასიის ხალხთა ფიზიკური ანთროპოლოგია. 2009-2010 სასწავლო წლებიდან თსუ ეთნოლოგებს – მაგისტრებს კი უკითხავს ზოგადი ანთროპოლოგიის კურსს. სასწავლო პროცესი საინტერესოა სტუდენტებისათვის, თეორიულ საკითხებთან ერთად მათ აქვთ საშუალება პრაქტიკული ცოდნაც მიიღონ. ქალბატონ ლიას მიაჩნია, რომ ანთროპოლოგიის ლაბორატორიაში დაცული მასალების საფუძველზე სავსებით შესაძლებელია თსუ-ში ანთროპოლოგიის მუზეუმის დაარსება.

სასერტიფიკატო და ტრენინგ კურსები თსუ-ში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრი გთავაზობთ სასერტიფიკატო და ტრენინგ კურსებს. კურსის დასრულების შემდეგ მსმენელებს გადაეცემათ თსუ-ის სერტიფიკატი.

სასერტიფიკატო კურსები

აუდიო ინჟინერია (ხმის რეჟისურა)

კურსი განკუთვნილია აუდიო ინჟინერიით (ხმის რეჟისურით) დაინტერესებული პირებისათვის, რომელთაც სურთ ამ სფეროში საბაზისო ცოდნის მიღება. კურსის დასრულების შემდეგ მსმენელი შეძლებს: კრიტიკულად შეაფასოს ფილმისა და ვიდეოს ხმის ხარისხი, რაც საბოლოო ჯამში განაპირობებს პროდუქციის ესთეტიკურ, ინტელექტუალურ და კომერციულ ღირებულებას; დაიცვას ფილმისა და ვიდეოს ხმის საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული დონე; დაიცვას ფილმისა და ვიდეო გახმოვანების შემოქმედებითი დონე; მოახდინოს მაყურებელზე ფილმისა და ვიდეოს ბგერის (ხმის) ეფექტი; განსაზღვროს ფილმისა და ვიდეოს კომერციული ღირებულება; აუდიო ინჟინერიის უახლესი თანამედროვე ინგლისური ტერმინოლოგიის შესწავლას; დაეუფლოს დარგის საბაზისო თეორიას და მიღებული ცოდნის გაღრმავებას.

კურსს გაუძღვება აუდიოინჟინერი და პროდიუსერი მერაბ ურუშაძე.

კურსის დაწყების თარიღი: 2012 წლის სექტემბერი

სპორტული ნუტრიციოლოგია და კანონმდებლობა

პროგრამა უზრუნველყოფს სპეციალიზებული განათლების მიღებას სპორტულ აქტივობებთან დაკავშირებულ რისკის მენეჯმენტში, რაც მსმენელს დაეხმარება თეორიული და პრაქტიკული კომპეტენციების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში საბაზისო პრინციპების გამოყენებისთვის სპორტული წვრთნებისას და ზოგადად სპორტულ მედიცინაში. ასევე საკანონმდებლო რეგულაციის მექანიზმების ათვისებაში.

კურსის განმავლობაში მსმენელები გაიკლიან პრაქტიკას და კურსის დასრულების შემდეგ მიიღებენ თსუ–ის სერტიფიკატს.

კურსს გაუძღვებიან: პროფესორი ელენე გიორგაძე და დოქტორანტი თამარ ჩაჩიბაია.

კურსის დაწყების თარიღი: 2012 წლის სექტემბერი

მენეჯმენტის გამოწვევები და ლიდერის როლი ორგანიზაციაში

სასწავლო კურსი მსმენელს დაეხმარება: საკუთარი მისიის დანახვასა და დასახვაში; ძლიერი მხარეების აღმოჩენა–განვითარებაში; საკუთარი თავისა და დროის მართვაში; დაგეგმილი საქმიანობების პრიორიტეტიზირებასა და მათ ეფექტურად განხორციელებაში; დროის მართვისა და გუნდური მუშაობის უნარის ჩამოყალიბებაში; მსმენელი შეისწავლის ბალანსის დაცვას მუშაობასა და დასვენებას შორის.

კურსს გაუძღვებიან: ზაზა ქოიავა და ოთარ ბაღათურია

კურსის დაწყების თარიღი: 2012 წლის აპრილიდან მეცადინეობები დაიწყება ყოველი ახალი ჯგუფის შედგენისას.

სამგანზომილებიანი (3D) კომპიუტერული გრაფიკა – მოდელირებისა და რენდერინგის საფუძვლები

კურსი განკუთვნილია სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისთვის, რომელთაც სურთ აითვისონ სამგანზომილებიან პროგრამებში მუშაობა.

კურსის მიზანია მსმენელს გააცნოს სამგანზომილებიანი (3D) კომპიუტერული გრაფიკის თეორიული საფუძვლები, განუვითაროს სივრცული აზროვნება, გამოუმუშაოს სამგანზომილებიან პროგრამებთან მუშაობის მტკიცე პრაქტიკული უნარ-ჩვევები. შეისწავლება სამგანზომილებიანი მოდელირების სხვადასხვა მეთოდები.

კურსს გაუძღვება: მალხაზ ბარბაქაძე

კურსის დაწყების თარიღი: 2012 წლის აპრილიდან მეცადინეობები დაიწყება ყოველი ახალი ჯგუფის შედგენისას.

კომპიუტერული პროგრამის SPSS for Windows-ის გამოყენებით მონაცემების დამუშავების და სტატისტიკური ანალიზის კურსი დამწყებთათვის

სასერტიფიკატო კურსი განკუთვნილია სოციალურ მეცნიერებებში და მარკეტინგის სფეროში ჩართული ადამიანებისათვის, ვისაც შეიძლება შეხება ჰქონდეს რაოდენობრივი მონაცემების შეგროვებასთან, დამუშავებასთან, ანალიზთან ან უხდებოდეს მზა რაოდენობრივი მონაცემების გამოყენება.

კურსს გაუძღვება: ალექსანდრე ელბაქიძე

კურსის დაწყების თარიღი: 2012 წლის აპრილიდან მეცადინეობები დაიწყება ყოველი ახალი ჯგუფის შედგენისას.

კომპიუტერული პროგრამის SPSS for Windows-ის გამოყენებით მონაცემების დამუშავების და სტატისტიკური ანალიზის გაღრმავებული კურსი

სასერტიფიკატო კურსი განკუთვნილია სოციალურ მეცნიერებებში და მარკეტინგის სფეროში ჩართული ადამიანებისათვის, ვისაც ინტენსიურად უხდება მუშაობა რაოდენობრივ მონაცემებთან, უხდებათ შედარებით დიდ და რთულ ბაზებთან მუშაობა და მათზე სიღრმისეული სტატისტიკური ანალიზის ჩატარება.

კურსს გაუძღვება: ალექსანდრე ელბაქიძე

კურსის დაწყების თარიღი: 2012 წლის აპრილიდან მეცადინეობები დაიწყება ყოველი ახალი ჯგუფის შედგენისას.

წერისა და ზეპირი პრეზენტაციის უნარები

ტრენინგის სამიზნე ჯგუფია საქართველოს საჯარო მოხელეები, კერძო სექტორის წარმომადგენლები, ყველა დაინტერესებული პირი, ვისაც სურს, აიმაღლოს წერილობითი და ენობრივი კომპეტენცია ქართულ ენაში, დაეუფლოს ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტაციის შედგენისა და საჯარო გამოსვლის უნარებს.

კურსს გაუძღვებიან თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორები გიული შაბაშვილი, ნინო შარაშენიძე, კახა გაბუნია ან ქეთევან გოჩიგაშილი.

კურსის დაწყების თარიღი: 2012 წლის აპრილიდან მეცადინეობები დაიწყება ყოველი ახალი ჯგუფის შედგენისას.

ტრენინგ კურსები:

მენეჯმენტის გამოწვევები და ლიდერის როლი ორგანიზაციაში

მენეჯმენტის გამოწვევები და ლიდერის როლი ორგანიზაციაში წარმოადგენს ამავე სახელწოდების სასერტიფიკატო კურსის დაჩქარებულ ვარიანტს.

კურსს გაუძღვებიან: ზაზა ქოიავა და ოთარ ბაღათურია

კურსის დაწყების თარიღი: 2012 წლის აპრილიდან მეცადინეობები დაიწყება ყოველი ახალი ჯგუფის შედგენისას.

კეთილდღეობის ფსიქოლოგია

ტრენინგის მიზანია, მონაწილეებს გამოუმუშაოს პირადი ცხოვრების, კარიერული და ფინანსური წინსვლისათვის საჭირო უნარ–ჩვევები.

ტრენინგი შედგება სამი ნაწილისაგან:

- წარმატების მიღწევის ტექნოლოგიები
- ბედნიერების ფსიქოლოგია
- ფინანსური წინსვლის უნარ-ჩვევები

ტრენინგს გაუძღვება: ნოდარ სარჯველაძე, ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ქართული ფილოსოფიური აკადემიის აკადემიკოსი, ფსიქოლოგიური კონსულტირების საერთაშორისო ასოციაციის წევრი.

კურსის დაწყების თარიღი: 2012 წლის აპრილიდან მეცადინეობები დაიწყება ყოველი ახალი ჯგუფის შედგენისას.

ტრენინგები ქალაქ ქუთაისში:

აღმზრდელი (ბაგა–ბაღის) – (ქუთაისში)

კურსი განკუთვნილია ბაგა–ბაღის აღმზრდელებისთვის ან იმ პირებისთვის, რომლებიც სამომავლოდ აპირებენ აღმზრდელად მუშაობას. კურსი განხორციელდება ქალაქ ქუთაისში.

კურსის დაწყების თარიღი: 2012 წლის აპრილი

ორის ბუღალტერია (ქუთაისში)

კურსი განკუთვნილია აღწერა:კერძო და საჯარო ორგანიზაციებში დასაქმებული პირებისათვის, რომლებსაც უწევთ ორის- ბუღალტერიის პროგრამის გამოყენებით მუშობა ან სხვა დაინტერესებული პირებისათვის. კურსის დაწყების თარიღი: 2012 წლის აპრილი

Office 2007/2010 (ქუთაისში)

კურსის დაწყების თარიღი: 2012 წლის აპრილი

Exel – (ქუთაისში)

კურსის დაწყების თარიღი: 2012 წლის აპრილი

დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ თსუ აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრში: ილია ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი, 0179, საქართველო

ოთახი № 320, ტელ.: 222-36-52, ელფოსტა: tsuLLL@tsu.ge

ვებგვერდი: http://www.tsu.edu.ge/ge/departments/lll/hlxkse6bwoboyjans/

მშვილდოსანთა წარმატება

25-26 თებერვალს დუშეთის ოლიმპიურ ბაზაზე გა-მართულ საქართველოს მშვილდოსნობის ჩემპიონატში თსუ-ის სტუდენტებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს. საქართველოს მშვილდოსნობის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ჩემპიონატში 26 სპორტსმენი მონაწილეობდა, მათგან ოთხი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელი იყო. პირველი და მეორე ადგილები თსუ-ის სტუდენტებმა გაინაწილეს. პირველი ადგილის მფლობელი გახდა დავით ჭელიძე, ხოლო მეორე ადგილი გიორგი პოპიაშვილმა დაიკავა, ორივე გამარჯვებული ზუსტი და საბუნების-მეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტია.

დავით ჭელიძე ერთერთი გამორჩეულია თსუ-ის სტუდენტი სპორტსმენებიდან. საქართველოს ჩემპიონატში გამარჯვებამდე მან არაერთ წარმატებას მიაღწია: ზამთრის საქართველოს ჩემპიონატი – I ადგილი; თბილისის მერიის თასი – II ადგილი; თბილისის ღია პირველობა – I ადგილი; აჭარის ღია ჩემპიონატი – III ადგილი; ნუნუ აბრამიას სახელობის ტურნირი – II ადგილი.

„გამარჯვება ყოველთვის მნიშვნელოვანია, ის სპორტსმენის მიზანს წარმოადგენს“ – განაცხადა მეორე ადგილის მფლობელმა გიორგი პოპიაშვილმა და აღნიშნა, რომ მეორე ადგილი აღარ აკმაყოფილებს და შემდეგში პირველობისათვის იბრძოლებს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე მრავალი წელია არსებობს მშვილდოსნობის სპორტული დარბაზი. გივი დავითაშვილის თაოსნობით თსუ-ში ჩამოყალიბდა მშვილდოსანთა სექცია. აქ აღიზარდა ბევრი ცნობილი და წარმატებული მშვილდოსანი. თსუ მშვილდოსნობის გუნდი აგრძელებს ტრადიციებს და უნივერსიტეტის სახელით მონაწილეობს საქართველოს ჩემპიონატებში, საქართველოს თასის გათამაშებებსა და ევროპის ჩემპიონატებში. თსუ-ის მშვილდოსნობის სპორტულ ბაბაში გაწვევრიანება უნივერსიტეტის ყველა სტუდენტს შეუძლია.

გაზეთი მომზადდა თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ. საკონტაქტო ინფორმაცია – ტელ: 2 22 23 91; ელ.ფოსტა: tsupr@tsu.ge; ვებ-გვერდი: www.tsu.edu.ge